

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 25.1-25.3)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელი უფლება წარმოადგენს პოზიტიურ უფლებას?

ა) განათლების;

ბ) სიცოცხლის;

გ) აღმსარებლობის;

დ) საკუთარი აზრის გამოთქმის.

2. სამართლის რომელი ძირითადი დარგი არეგულირებს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოებისა და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა დიდ ნაწილს?

ა) სისხლის სამართალი;

ბ) ადმინისტრაციული სამართალი;

გ) მუნიციპალური სამართალი;

დ) სამოქალაქო სამართალი.

3. რა ეწოდება სიტუაციას, რომლის დროსაც ბაზარზე რამდენიმე მსხვილი აქტორია წარმოდგენილი, რის გამოც წვრილ მეწარმეებს უჭირთ ბაზარზე თავის დამკვიდრება?

ა) მონოპოლია;

ბ) ოლიგოპოლია;

გ) მონოპოლისტური კონკურენცია;

დ) თავისუფალი კონკურენცია.

4. საქართველოს საერთო სასამართლოების რომელი რგოლი განიხილავს საკასაციო საჩივრებს?

ა) რაიონული;

ბ) საქალაქო;

გ) სააპელაციო;

დ) უზენაესი.

5. რომელი ისტორიული მოვლენა წარმოადგენს ბიპოლარულობის მაგალითს საერთაშორისო ურთიერთობებში?

ა) ცივი ომი;

ბ) მეორე მსოფლიო ომი;


გ) საბჭოთა კავშირის დაშლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად;

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსება.

6. რომელი მსჯელობაა მართებული მერკანტილიზმის შესახებ?

- ა) ეკონომიკური ნაციონალიზმის ფორმა, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი პროდუქციის ექსპორტი განახორციელოს საერთაშორისო ბაზარზე;
- ბ) ეკონომიკური ლიბერალიზმის ფორმა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდუალური მეწარმეების როლს და მათ თავისუფალ ვაჭრობას;
- გ) ეკონომიკური ლიბერალიზმის ფორმა, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებს იმპორტის მნიშვნელობაზე საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკაში;
- დ) ეკონომიკური ნაციონალიზმის ფორმა, რომლის მთავარი მიზანია, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება შეზღუდვებისა და რეგულირებისაგან.

7. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის რომელ ეტაპს ასახავს მოცემული სქემა?



- ა) სიტუაციის ანალიზი;
- ბ) სამოქმედო გეგმის შექმნა;
- გ) მიზნების იერარქიის ჩამოყალიბება;
- დ) პროგრესის შეფასების გეგმის შემუშავება.

8. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ვინ შეიძლება ჩაითვალოს ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად?

ა) საქართველოს მოქალაქე, რომელიც იძულებულია, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გადაადგილდეს, ვინაიდან უცხო ქვეყნის აგრესიის გამო მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა;

ბ) საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელმაც ნებაყოფლობით დატოვა თავისი საცხოვრებელი სახლი, ვინაიდან ქვეყნის შიდა კონფლიქტის გამო მისი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დადგა, მაგრამ არ გადაუკვეთია სახელმწიფოს საზღვრები;

გ) პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა, არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან დევნის გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა;

დ) პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტოვებს საკუთარი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად საქართველოში გადმოდის.

9. რომელ ქალაქში მდებარეობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო?

ა) ჟენევაში;

ბ) ჰააგაში;

გ) ნიურნბერგში;

დ) ვარშავაში.

10. რომელი მსჯელობა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას საქართველოს მოქალაქეობასთან მიმართებაში?

ა) საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;

ბ) მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით;

გ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ მის ტერიტორიულ საზღვრებში;

დ) მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

11. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რა პრინციპს ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამოიჯვნა?

ა) სუბსიდიარობის;

ბ) სუბორდინაციის;

გ) მედიაციის;

დ) კონსოლიდაციის.

12. ცხრილი ასახავს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს 2017 წლის სექტემბერში საქართველოში წლიური ინფლაციის დონის შესახებ:

სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფები	ფასების ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	ჯგუფის წვლილი ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	6.5	1.96
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	17.4	1.13
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-4.6	-0.17
საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი	2.4	0.2
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	2.1	0.14
ჯანმრთელობის დაცვა	7.7	0.69
ტრანსპორტი	14.7	1.84
კავშირგაბმულობა	-1.4	-0.06
დასვენება, გართობა და კულტურა	0,0	0
განათლება	1.8	0.09
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.8	0.16
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.9	0.19
წლიური ინფლაციის დონე, სულ	6.2	

ცხრილის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით:

ა) ფასების ყველაზე მაღალი პროცენტული ცვლილება დაფიქსირდა ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოს პროდუქციაზე, თუმცა ამ ჯგუფის წვლილი წლიურ ინფლაციაში ნაკლებია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფთან შედარებით;

ბ) სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების ჯგუფის წვლილი წლიურ ინფლაციაში უფრო მაღალია, ვიდრე დასვენების, გართობის და კულტურის, თუმცა ნაკლებია კავშირგაბმულობის წვლილზე;

გ) განათლების წვლილი წლიურ ინფლაციაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ტრანსპორტის წვლილი, თუმცა ამ უკანასკნელ ჯგუფს ფასის ცვლილება უფრო ნაკლებად შეეხო, ვიდრე ავეჯს, საოჯახო ნივთებს და სახლის მოვლას;

დ) ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის პროდუქციას ფასის ცვლილება უფრო მეტად შეეხო, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვას.

13. დავალებაში მოცემულია საქართველოში 2016 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევის მონაცემები რეგიონულ ჭრილში:

ახალგაზრდობაში ქვეყნის დატოვების მსურველთა 38% მთავარ მოტივად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ასახელებს, 17% კი - უკეთეს განათლებას. მონაცემები რეგიონულ ჭრილში განსხვავებულია:

- თბილისი: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება - 28%, უკეთესი განათლება - 21%.
- სხვა ქალაქები: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება - 41%, უკეთესი განათლება - 14%.
- სოფლები: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება - 52%, უკეთესი განათლება - 12%.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) სოფლად განათლების დონე უფრო მაღალია, ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში;

ბ) უკეთესი საცხოვრებელი პირობების გამო ქვეყნის დატოვების მსურველთა ყველაზე მაღალი წილი სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდობაშია;

გ) უკეთესი საცხოვრებელი პირობების გამო ქვეყნის დატოვების მსურველთა წილი თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდობაში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქალაქებში;


დ) თბილისში უკეთესი განათლების გამო ქვეყნის დატოვების მსურველთა წილი უფრო მაღალია, ვიდრე იმ ახალგაზრდობის, რომლებსაც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სურთ ქვეყნის დატოვება.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№14)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

14. (1) სქემაზე არათანმიმდევრულად არის მოცემული მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდის საფეხურები. დაალაგეთ საფეხურები ზრდადობის მიხედვით:



1*				
----	--	--	--	--

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№15-17)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.


15. (1) შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული პოლიტიკური ნაციონალიზმის ფორმები I სვეტში მოცემულ მათთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს:

I. დამახასიათებელი ნიშან-თვისებები	II. პოლიტიკური ნაციონალიზმის ფორმები
<p>ა) ნებისმიერი ერის დამოუკიდებლობის აღიარება, ეროვნული თვითგამორკვევისა და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საყოველთაო უფლების რწმენა.</p> <p>ბ) ერთა შორის უთანასწორობა, ერის თვითგამორკვევის პრინციპის უარყოფა და იმპერიალისტური მისწრაფებები, შოვინისტური ხასიათი.</p> <p>გ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის, სწრაფვა სოციალური განვითარებისკენ.</p> <p>დ) ერი-სახელმწიფოს უარყოფა, მონათესავე ერების გაერთიანებისკენ მოწოდება და ერთ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებისთვის ბრძოლა.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ანტიკოლონიური ნაციონალიზმი 2. პან-ნაციონალიზმი 3. ლიბერალური ნაციონალიზმი 4. ექსპანსიური ნაციონალიზმი

16. (2) შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი თეორიული სკოლები I სვეტში მოცემულ მახასიათებლებს:

I. მახასიათებლები	II. საერთაშორისო პოლიტიკის თეორიული სკოლები
<p>ა) საერთაშორისო პოლიტიკა განხილული უნდა იყოს მორალური ღირებულებების ჭრილში.</p> <p>ბ) საერთაშორისო კონფლიქტები თუ თანამშრომლობა ძალთა ბალანსის კონცეფციას ეყრდნობა, აქცენტზე სწორედ ძალის პოლიტიკაზე უნდა გაკეთდეს.</p> <p>გ) საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას საერთაშორისო კაპიტალის მნიშვნელობას და ეკონომიკის ძალას.</p> <p>დ) გლობალურ პოლიტიკაში წამყვანი როლი ენიჭება ქვეყნის ღიაობის პრინციპს, ქვეყნის ავტონომიურობის აღიარებასთან ერთად.</p> <p>ე) გლობალურ პოლიტიკას უნდა წარმართავდეს ინტერნაციონალურ კლასზე დაფუძნებული ძალაუფლების ჰორიზონტალური სტრუქტურის მქონე მოდელი.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. პლურალიზმი 2. მარქსიზმი 3. იდეალიზმი 4. რეალიზმი

17. (1) რუკა ასახავს მსოფლიოში ზრდასრულთა მიერ ალკოჰოლის მოხმარებას. ცხრილის I სვეტში მოცემულ ქვეყნებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული ალკოჰოლის მოხმარების ხარისხი:

	I. ქვეყანა	II. ალკოჰოლის მოხმარების ხარისხი
	ა) რუსეთი	1. ძალიან მაღალი
	ბ) საუდის არაბეთი	2. მაღალი
	გ) თურქეთი	3. საშუალო
	დ) კანადა	4. დაბალი
	ე) საფრანგეთი	5. ძალიან დაბალი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№18)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

18. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

სიტყვის თავისუფლება

სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც პოლიტიკური, აგრეთვე პიროვნული თვალსაზრისითაც. მაგალითად, სახელმწიფოებში, სადაც სიტყვის თავისუფლება დაცულია, არსებობს პოლიტიკური ელიტიზმი, რაც განსხვავებული პოლიტიკური იდეების თანაარსებობასა და კონკურენციას გულისხმობს. ამას გარდა, სიტყვის თავისუფლების პირობებში ადამიანებს პიროვნულ დონეზე ეძლევათ საშუალება, უკეთ განსაზღვრონ პირადი ცხოვრება, გაცვალონ იდეები თანამოქალაქეებთან და შეიძინონ მრავალფეროვანი ცოდნა სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ.

ის, რომ დღეს სიტყვის თავისუფლება, სხვა უფლებებთან ერთად, მრავალმხრივ დაცულია, ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია. ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1628 წელს გერმანიაში, სადაც მიღებულ იქნა „პეტიცია უფლებათა შესახებ“, რომლის მიხედვითაც, სხვასთან ერთად მოქალაქეთა წერილებისა და პირადი ქაღალდების ჩხრეკა აიკრძალა.

სიტყვის თავისუფლების დაცვის დიდი ტრადიცია გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. 1791 წელს აშშ-ს კონსტიტუციაში შევიდა შესწორებები, რომლებიც „უფლებათა მემორანდუმის“ სახელით არის ცნობილი. ამ შესწორებათაგან პირველი, მოქალაქეებს გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს. ამავე

ღირებულებებს იზიარებდნენ ფრანგი პოლიტიკოსები, როდესაც 1796 წლის საფრანგეთის რევოლუციიდან რამდენიმე თვეში შეიმუშავეს დოკუმენტი, რომელიც ყველა ადამიანს კანონის წინაშე თანასწორად აცხადებდა.

ამ ისტორიის ერთგვარი კულმინაციაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენცია“, რომლის პრეამბულაშივე არის ნახსენები სიტყვის თავისუფლება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლება. კლასიფიკაციის მიხედვით, ის მესამე თაობის უფლებად მიიჩნევა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფომ დიდი ნაბიჯი გადადგა დასავლური სამართლებრივი კულტურის გათავისებისკენ. კერძოდ, 1917 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობიდან მის დაკარგვამდე შექმნა პრეცედენტი, თანასწორობასა და თავისუფლებაზე დაეფუძნებინა საზოგადოებრივი წესწყობილება.

სწორედ ამ ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას ეყრდნობა საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია, რომელიც გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტთან თანხმობაშია და აღიარებს საერთაშორისოდ მიღებულ ადამიანის უფლებებს.

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№19)

დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. თქვენი ამოცანაა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. შეფასება ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- 19.** (6) დავალებაში მოცემულია ორი ტექსტი თემაზე „არჩევნები“. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს შეცდომებს. გაეცანით ტექსტებს, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით.

I ტექსტი:

დემოკრატიულ სახელმწიფოში თითოეულ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს თავისი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ამისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა არჩევნებში მონაწილეობაა. სასურველი საარჩევნო სუბიექტისათვის ხმის მიცემით მოქალაქეები ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკურ უფლებას. საარჩევნო სისტემებიდან ძირითადად გამოყოფენ ორს: პროპორციულს და მაჟორიტარულს.

თანამედროვე არჩევნების დემოკრატიულობა იმ ძირითადი პრინციპების დაცვას ეფუძნება, რომელთა გარეშეც ვერ ვისაუბრებდით არჩევნებში ხალხის ნამდვილი ნების გამოვლინებაზე. მნიშვნელოვანია დაცული იყოს ღიაობის პრინციპი, ანუ ამომრჩევლის უფლება, უშუალოდ მისცეს ხმა ან არჩეულ იქნას თანამდებობაზე, ასევე ფარული კენჭისყრის პრინციპი, რომელიც გამორიცხავს კონტროლისა და ზემოქმედების შესაძლებლობას ამომრჩევლებზე და უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოხატვას.

ვინაიდან მოქალაქეთა ნება დროთა განმავლობაში იცვლება, ამიტომ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს საარჩევნო ვადები. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ საქართველოს პარლამენტი პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ირჩევა 4 წლის ვადით, ხოლო თვითმმართველობა - 5 წლით. ამდენად, არჩევნებს შორის ინტერვალები როგორც მოქმედ ხელისუფლებას უნდა უტოვებდეს დროს გეგმების განსახორციელებლად, ასევე უნდა უწყობდეს ფეხს ხალხის ნების ცვლილებასაც.

II ტექსტი:

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს მშენებლობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოქალაქეთა აქტივობას, მათ ჩართულობას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. არჩევნებში მონაწილეობა თითოეული ადამიანის უფლება და ერთგვარი მოქალაქეობრივი ვალდებულებაცაა, რამდენადაც საკუთარი ხმის დაფიქსირებით მოქალაქე თავის ნებას გამოხატავს პოლიტიკურ ასპარეზზე. პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში მანდატები ნაწილდება პარტიების მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად.

არჩევნების ჩატარებას გარკვეული დროის შუალედით განსაზღვრავს სახელმწიფოს კონსტიტუცია. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა, მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, განისაზღვრება 4 წლის ვადით, ხოლო პარლამენტის - 5 წლის ვადით. საარჩევნო ვადების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს, როგორც მოსახლეობის ნების ცვლილება, ასევე ხელისუფლებისათვის საკმარისი დროის გამოყოფა, სასურველი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად.

იმისათვის, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩაითვალოს უმნიშვნელოვანესია დაცული იყოს მთავარი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება ხალხის ნების რეალური და თავისუფალი გამოხატვა. არჩევნების საყოველთაობის პრინციპის საფუძველზე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ ყველა იმ მოქალაქეს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს. ყველა ამომრჩევლისათვის არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების თანაბარ შესაძლებლობას წარმოადგენს თანასწორობის პრინციპი.

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე:

	I. კრიტერიუმები	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	საარჩევნო სისტემები	3	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> საარჩევნო სისტემა - 1 ქულა
B.	არჩევნების ძირითადი პრინციპები	4	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> არჩევნების ძირითადი პრინციპი - 1 ქულა
C.	საარჩევნო ვადები	3	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> საარჩევნო ვადა - 1 ქულა

თქვენ მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში:

		A	B	C
19.1	I ტექსტის შეფასება			
19.2	II ტექსტის შეფასება			

I ტექსტზე დაბრუნება

II ტექსტზე დაბრუნება

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№20, 21, 22, 23, 24, 25.4-25.7)

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

20. (5) სქემა არასრულად ასახავს კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სხვადასხვა მოდელს და მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

ქცევის მოდელები	ქცევის მოდელების განმარტება	ასერტულობის და პარტნიორობის ხარისხები	რა შემთხვევაშია მისი გამოყენება მიზანშეწონილი?
კომპრომისი	20.1	ზომიერი ასერტულობა ზომიერი პარტნიორობა	როდესაც გადაწყვეტილების მიღება სასწრაფოდ გასურთ / ძალაუფლება მხარეებს შორის თანაბარია.
20.2	სიტუაციისგან დისტანცირება, პრობლემის იგნორირება.	დაბალი ასერტულობა დაბალი პარტნიორობა	როდესაც პრობლემა თქვენთვის მცირე ან უმნიშვნელოა და გასურთ მოიგოთ დრო / ნაკლები ძალაუფლება გაქვთ.
შეგუება	საკუთარი ინტერესების დათმობა, მეორე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების სანაცვლოდ.	20.3	როდესაც თქვენთვის მნიშვნელოვანია ჰარმონიის შენარჩუნება, ხოლო შედეგი მეორე მხარისათვის უფრო მნიშვნელოვანია / აცნობიერებთ, რომ მეორე მხარეს მეტი ძალაუფლება აქვს.
კონკურენცია	20.4	მაღალი ასერტულობა დაბალი პარტნიორობა	როდესაც შედეგი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და კრიტიკული სიტუაცია გადაწყვეტილების მიღებას სასწრაფოდ საჭიროებს / თქვენ მეტი ძალაუფლება გაქვთ.
თანამშრომლობა	ერთმანეთის ინტერესების აღიარება, ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღება.	მაღალი ასერტულობა მაღალი პარტნიორობა	20.5 /

21. (3) რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



21.1 რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყნებია მოცემული რუკაზე ლურჯი ფერით?

21.2 რომელ ქალაქში მდებარეობს აღნიშნული ორგანიზაციის მთავარი შტაბ-ბინა?

21.3 დაასახელეთ მოცემული ორგანიზაციის ორი სტრუქტურა.

22. (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 22.2)*
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას. *(დავალება 22.3)*
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია, პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 22.1)*

22.1	<p>პროექტის მიზანი: (ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</p>
22.2	<p>პროექტის I ამოცანა: (განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</p> <p>პროექტის II ამოცანა: ბუნებისდაცვითი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა მოწაფეებში</p>
22.3	<p><u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. დარვინის ევოლუციის თეორიის შესახებ ლექციის გამართვა. 2. კინოფილმის „ბარაკა“ ჩვენება, რომელიც ასახავს ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებას. 3. სასკოლო პლაკატების შექმნა თემაზე „მე და ბუნება.“ <p><u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> (დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3.

23. (3) გაეცანით მტვერსასრუტის სარეკლამო ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



23.1 კრიტიკულად გააანალიზეთ მოცემული ილუსტრაცია ფემინისტური პერსპექტივიდან.

23.2 განიხილეთ აღნიშნული პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე ქართულ სოციო-კულტურულ ჭრილში.

23.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზებზე.

24. (5) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

„სოლონის სხვა კანონთაგან მეტად თავისებურია და უცნაური ის კანონი, რომელიც პატივს ჰყრის იმ მოქალაქეს, ვინც შინაური მღელვარების დროს არც ერთ მეზობელ მხარეს არ მიემხრობა. სოლონს, როგორც ჩანს, უნდოდა, არავინ ყოფილიყო გულგრილი საერთო საქმის მიმართ და არ დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ მასა და მის ქონებას საფრთხე არ მოელოდა. სამშობლოს ჭირ-ვარამი ყველას ერთნაირად უნდა გაეზიარებინა.“

„პარალელური ბიოგრაფიები“, პლუტარქოსი

24.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალობის შესახებ.

24.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიისას წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად.

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიისას წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი აზრის მატარებელი)

25. (8) გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

„შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა – კრიტიკაა. კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში „ჰო“-საცა და „არა“-საც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად, იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გასწიოს და ცალ-კერძ სჭიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა. როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ-მხრივ გააწევინე ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და განზიდული.“

გაზეთი „ივერია“, ილია ჭავჭავაძე, 1837-1907

წყაროებზე გადასვლა: [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [25.1](#) [25.2](#) [25.3](#) [25.4-25.7](#)

წყარო N2

„ხოლო სწავლისადმი მისი გულისხმიერება ძალიან გასაკვირი იყო, რადგან სწრაფადვე დაისწავლა „ფსალმუნნი“ და „ხმით“ სასწავლი საეკლესიო სწავლა. ქართულ ენაზე ყველაფერი სასწავლო შეისწავლა, მწიგნობრობაც ისწავლა მრავალი ენისა და საღვთო წიგნები ზეპირად დაისწავლა. ამასთან, ამ სოფლის ფილოსოფოსთა სიბრძნეც ისწავლა კარგად და რაც ნახა კარგი სიტყვა, მიიღო, ხოლო უკეთური უკუაგდო.“

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულე, X საუკუნე

წყარო N3

„როგორ ხდება, რომ რომელიმე პიროვნების მსჯელობები მართლა იმსახურებს ნდობას? როგორ და იმით, რომ მისი გონება ყოველთვის ღია იყო მისი შეხედულებების და ქმედებების კრიტიკისათვის; იმით, რომ ის ყოველთვის ყურს უგდებდა ყველაფერს, რაც მის წინააღმდეგ შეიძლებოდა ეთქვათ; მაქსიმალურად სარგებლობდა იმით, რაშიც მოწინააღმდეგე მართალი იყო და თავის თავსა და, თუკი შემთხვევა მიეცემოდა, სხვებსაც უხსნიდა იმის მცდარობას, რაშიც ის ცდებოდა; იმით, რომ აცნობიერებდა, რომ ადამიანისთვის მთელი საკითხის ცოდნასთან ოდნავ მაინც მიახლოების ერთადერთი გზაა უსმინოს ყველაფერს, რაც შეიძლება თქვან მის შესახებ სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანებმა და შეისწავლოს ყველა თვალსაზრისი, რომლითაც შეიძლება მიუდგნენ მას სხვადასხვა ყაიდის მოაზროვნეები. არასოდეს არც ერთ ბრძენ ადამიანს არ შეუძენია სიბრძნე სხვაგვარად; არც ადამიანის ინტელექტის ბუნებაში ძვეს დაბრძენების რაიმე სხვა გზა. საკუთარი შეხედულების სხვების შეხედულებებთან შეჯერებით შესწორებისა და შევსების მყარ ჩვევას არათუ ეჭვი და მერყეობა არ შეაქვს მის პრაქტიკულ გამოცენებაში, არამედ ერთადერთი მტკიცე საფუძველია მის მიმართ ნდობის გამართლებისთვის.“

„თავისუფლების შესახებ“, ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873

წყარო N4

„თქვენ ალბათ ვერ წარმოიდგენთ, რა მიმზიდველი და დამარწმუნებელია ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე. ... ის შიგნიდან გლრღნის. ის შიგნიდან იჭრება ტვინში და ეს ძალზე მომხიბლავია. რეალურად გიზიდავს. საიდან მოდის ეს ხიბლი? იქიდან, რომ ასეთი აზროვნება ნებას იძლევა თავი ჭკვიანი გეგონოს, დაიჯერო, რომ ყველაფერი გესმის, თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ზოგადად ადამიანი ზარმაცია, ამიტომ ის სპონტანურად უერთდება იმას, რაც მას ჰპირდება რაღაცად გაგხდით, ყოველგვარი მუშაობისა და მუყაითობის გარეშე. ამ ცდუნებამ კარგი ნაყოფი გამოიღო, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე სხვაგანაც.“

„ჩახშული ფიქრი“, მერაბ მამარდაშვილი, 1930-1990

25.1 N2 წყაროს თანახმად:

- ა) გრიგოლ ხანძთელმა უდიდესი როლი ითამაშა ტაო-კლარჯეთში ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საქმეში;
- ბ) გრიგოლ ხანძთელი ძალიან კარგად იცნობდა რელიგიურ ტექსტებს, რაც ხელს უწყობდა ფილოსოფიური ტექსტების გაგებაში;
- გ) ფილოსოფიური ტექსტები ვნებენ რელიგიურ გრძნობებს, რის გამოც გრიგოლ ხანძთელი მათ წაკითხვას ერიდებოდა;
- დ) რელიგიურ ტექსტებთან ერთად, გრიგოლ ხანძთელი ფილოსოფიურ ტექსტებსაც იცნობდა, რაც მის ცოდნას სრულყოფდა.

25.2 რომელი მსჯელობა შეესაბამება ჯონ სტიუარტ მილის მიერ N3 წყაროში გამოთქმულ მოსაზრებას?

- ა) აზრი შეიძლება მივიჩნიოთ სარწმუნოდ, თუკი ის გაივლის ერთგვარ გამოცდას, ამ აზრის საპირისპირო აზრებთან შეპირისპირებით;
- ბ) საპირისპირო აზრების სიმრავლე ხშირად ქაოსს ქმნის საზოგადოებაში;
- გ) მიუხედავად იმისა, რომ აზრთა სხვადასხვაობა მომგებიანია განვითარებისათვის, არსებობს აზრები, რომელთა საჯაროდ გამოთქმაც არ არის მართებული;
- დ) ნებისმიერ აზრს აქვს უფლება, საჯაროდ იქნას გამოთქმული, თუნდაც ის სხვათა შეურაცხყოფას გულისხმობდეს.

25.3 N4 წყაროს მიხედვით:

- ა) ტოტალიტარულ სისტემაში მცხოვრებ ადამიანს მხოლოდ ინდივიდუალური ძალისხმევითა და მუყაითი შრომით შეუძლია მიზნის მიღწევა;
- ბ) ქართული ინტელექტუალური ტრადიცია განსხვავდება სხვა ქვეყნების ტრადიციებისაგან, მისი გაბედული დიაობით;
- გ) არსებობს სიტუაცია, სადაც ადამიანი გრძნობს საკუთარ ინტელექტუალურ უპირატესობას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რაც ერთობ ბუნებრივი მოვლენაა;
- დ) ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე ეფუძნება ადამიანის სიზარმაცეს და მის სურვილს, საკუთარი თავი, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ეგონოს ჭკვიანი.

- 25.4** განსაზღვრეთ კრიტიკული აზროვნების ცნება N1, N2 და N3 წყაროების გამოყენებით.
- 25.5** იმსჯელეთ, რა მიმართებაშია ერთმანეთთან ილია ჭავჭავაძისა და ჯონ სტიუარტ მილის მოსაზრებები მერაბ მამარდაშვილის მიერ აღწერილ აზროვნების მოდელთან.
- 25.6** იმსჯელეთ, მერაბ მამარდაშვილის მიერ აღწერილი მიზეზის გარდა, კიდევ რომელმა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოში ტოტალიტარული აზროვნების გავრცელება საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში.
- 25.7** იმსჯელეთ, როგორ აისახა მერაბ მამარდაშვილის მიერ აღწერილი ტოტალიტარული აზროვნების წესი თანამედროვე ქართულ სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მსჯელობისას მოიყვანეთ ორი მაგალითი.